

თქმულა პირად აღკვეთილთ
და „საქართველოდ“ არ დაგე-
გვიწინათ, მაგრამ თქვენი ად-
რესი გავიცხოვრებ და გვინათ.

საქართველო

თ ა ვ ი ს უ შ ა ლ ი ო რ გ ა ნ ო

წლიური ფასი — 5 მანეთი
თვითთველი ნომერი — 25 კაპ.

№ 6.

წელიწადი პირველი.

1 აპრილი 1903 წ.

№ 6.

უმღრნელესად ვსთვლთ ყველას, ვინც თანაგვიგონდობს, მღვწეოდნენ სოფელ ყოველგვარი მასალა, როგორც ქართულს, ისე ფრანგულს გამომცემისათვის: დღევანდები, წიგნები, კორესპონდენციები და წერილები.

რადგან ჩვენი გაზეთი ჯერ-ჯერობით ერთადერთი თავისუფალი ორგანოა, ამიტომ შიგ ადვილი დაეთმება ყოველგვარ მიმართულებების წერილებს, რომელთაც აწრად ექნებათ

რედაქციის და ადმინისტრაციის ადრესი: 51, rue Saint-Sauveur, PARIS.

ცალკე ნომერები იხილება: SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION. 17, rue Cujas. PARIS (V^e).

შ ი ნ ა ა რ ს ი:

საჭირად განმარტება.—მუშათა მოძრაობა საქართველოში, X-სა.—ნატივალურ მისწრაფებათა გამოღვიძება საქართველოში (იხილეთ დენიციანი).—სომხების თანაგონება.—ქართულ ცხოვრების მატანა.—როგორ მივიღებინო „საქართველოდ“ გამომცემის ვერობის პრესა და ვერობიელი საზოგადო მოღვაწენი.—ფრანგული სტრატეგია (გორგასა).—რუსეთის ქრისტიანობა.—ქართველი ყანდარმები.—იტალიის დემოკრატია და რუსეთის სემოქიტი.—„საქართველოდ“ დღეს.—განცხადება.

ს ა ზ ი რ ო ბ ა ნ ა რ ტ ა ბ ა .

«კავკასიის სოციალდემოკრატიული კავშირის» ერთმა წევრმა გამოგვიკვლია საყურადღებოდ წერილი მუშათა მოძრაობის შესახებ საქართველოში. ამ წერილს ქვემოთ ვებრძვით და იგი მიიქცევა მკითხველის ყურადღებას, რადგან ბევრ რამეს გვიმჩვენს და გვასწავლის.

პირველ ყოვლისა ძლიერ სასიამოვნოა, რომ კავკასიაში ქართველი მუშა მოღვაწეები მუშაობენ რაზემ შეადგენს. ჩვენი ხალხის გამოღვიძლება ქართველ ერის ცხოველ-მყოფელობას მოასწავებს და ეგ ახალი საბუთია ჩვენი ერის აღდგომისათვის—სიამოვნების გამოყოფილებას გვაგრძობენ.

გარდა ამისა ფრთხილად საყურადღებოა მუშათა მოძრაობის ევოლუცია. დაავიწყდით. საქმე იქიდან დაიწყო, რომ მუშებმა განიზრახეს თავიანთი მუშაობის მიხედვით მდგომარეობის გაუმჯობესება. ამისათვის მიჰმართეს საუკეთესო საშუალებას—გაფიცვა. მაგრამ გაფიცვა, რომელიც ყოველთვის მუშათა თვით მოქმედ სივრცის ნიშანია, რუსეთის თვით-მპყრობელობაში შეწყნარებული არ არის. აქედამ წარმოსდგა აუცილებელი შეტაკება მუშებისა და რუს-მოაზრობის შორის. ამ გარემოებამ დაარწმუნა მუშები, რომ სანამ თვით-მპყრობელობა ფეხსეა, მათ ბედს არა ემეველება რა. რაკი შეიგნეს ეს, მთელს თავიანთ ენერჯიას მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას ახმარებენ.

ქართველ ხალხის ინტერესთა გამოხატულება. მხოლოდ რედაქცია ამა თუ იმ წერილს თავის შენიშვნაზე გაუკეთებს.

მკითხველს ვსთვლთ ყოველი ნომერი „საქართველოდ“, წავითხვის შემდეგ, სხვებსაც გადასცეს სოფელ, რათა ამ ხანით ხელი შეუწყოს ჩვენი გაზეთის გავრცელების საქმეს. ყოველი შემოწირულება როგორც ფულით, ისე წიგნებით, დიდს მადლობით მიიღება.

ჩვენებურ მუშებს ამ ბრძოლაში ხელი გაუწოდეს კავკასიაში მცხოვრებნი სხვა ტომის მუშებმაც. მათ ამხნევედა აგრეთვე ამგვარივე სახიანთის მთელს რუსეთში გაჩაღებული ბრძოლა. ხალხის დღევამ, ხალხის გათამამებამ და ვაჟკაცობამ ძირი შეუწყია თვით-მპყრობელობას, რომელმაც თავის დაცვისათვის აღარ იცხს, რას მიჰმართეს, რადგან სასტიკმა სომხებმა უფრო გაამწვავეს ბრძოლა, უფრო გააბრძოლეს ხალხი, რომელიც მხად არის იარაღი ხელში აიღოს თავის ადამიანობის და სივრცის დახვეწა. კიდევ ერთი ნაბიჯი, ერთი უკანასკნელი იერიში და დაინგრევა თვით-მპყრობელობის ციხე, დაინგრევა საშინელი საპყრობილე, რომელიც ხელს უსუსვს და აღბობს ხალხს თავის ნოტიო ხარდაცემაში.

შემდეგ რაღა იქმნება? თვით-მპყრობელობის დამხრების შემდეგ, როგორი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდება? აი ის კითხვა, რომელიც, ამჟამად, აღიძრა ჩვენებურ მუშებშია გულში. აღიძრა ეს კითხვა და პასუხიც გადაწყდა. ხელ მოკლე ხანში (რამდენიმე თვე არ იქმნება მას აქეთ), ნაცვლად ძველის «კავკასიის კომიტეტი რუსეთის სოც.დემოკრატიის პარტიისა» დაარსდა «ცენტრალური კავშირი კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა». «კავშირმა» შეიმუშავა დაწვრილებითი პროგრამა და ამ პროგრამის პოლიტიკურ განყოფილებაში შეტანილია ამიერ-კავკასიის ავტონომია პარლამენტით ტერიტორიაში.

ამჟამად, მუშების და მათი წარმომადგენლების წინაშე წარმოსდგა კითხვა, რავარი პოლიტიკური ფორმაა საჭირო კავკასიის მუშებისათვის. და მათი ყურადღება შეჩერდა იმ პოლიტიკურ ფორმასზე, რომელიც ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივ ცხოვრების, ადგილობრივ მუშათა პარტიების თავისუფალ ზრდა-განვითარებას, მეორეს მხრივ, კავკასიის ხალხს რუსეთის ხალხთან კავშირს არ შეუწყობს. ამგვარ ორგანიზაციად კავშირმა «ავტონომია» აღიარა.

ჩვენი სურვილი, რომელიც პირველ ნომერში გამოვაცხადეთ მუშათა მოძრაობის შესახებ გამართლდა.

«კავკასიის სოციალ-დემოკრატიას, ვწერდით ჩვენ, უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრი, საკუთარი მიმართულება... დღევანდელ პირობებში, ხალხის დაძვრული და მძარცვლი კეთილხინიდიისიერი დაპირება და განანტია კი არ არის, არამედ პოლიტიკური დაწესებულება, დემოკრატიული ორგანიზაცია, ადვილობრივ საჭიროებათა მოთხოვნილებაზე დაფუძნებული. «გენტრალური კავშირი კავკასიის მუშათა ორგანიზაციებისა» სწორედ ამ ნიადაგზე დაამდგარა და ამიერ-კავკასიისათვის ავტონომიის დაფუძნება საჭიროდ უჩვენა. ჩვენ დღემდე გვქონდა ლაბარაკი საქართველოს ავტონომიის შესახებ. «კავშირი» ინტერნაციონალურ ნიადაგზე დგას. ჩვენ დღემდე ვიდექით ერთვულ ნიადაგზე. მაგრამ ეს კარნაქები არ ჰბადავს ჩვენს შიშის წინააღმდეგობას. ჩვენ უფლება არა გვქონდა სხვა ერთა სურვილი გამოვგვეთქვა. სოლოდრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ კავკასიის ერნი ახლო მომავალში ავტონომიურ ჯგუფებს შეადგენენ. ცხოვრება შეაერთებს ამ ჯგუფებს, შესდგება და დამყარდება კავკასიის კონტინენტაცია. «კავშირის» მიერ აღიარებული ამიერ-კავკასიის ავტონომიური ორგანიზაცია და ჩვენ მიერ წამოყენებული საქართველოს თვით-მმართველობის კითხვა ერთმანეთს ხელს შეუწყობენ და კავკასიაში კონტინენტაციის დამყარების საქმეს გააადვილებენ. ჩვენი მისწრაფებაც ამისვე უნდა იყოს მიმართული.

მუშათა მოძრაობა საქართველოში.

ეს გავრცელება მოხდა შემდეგ ნაირათ:
 1900 წლის გაფიცვის შემდეგ რამდენიმე მღწინავე მუშა და ინტელიგენტი იძულებული გახდა ტფილისის პოლიციას დაამალდა და გადავიდნენ სოფი ბაქოში და სოფი ბათუმში. ესენი სულ ყველა ქართველები იყვნენ. პირველად იმათთვის მხელი შეიქმნა ბაქოში მოქმედება, სადაც მუშათა მოძრაობის ნაწილი სომხობა და თათობაა. მიუხედავად ამისა, ამათ, ჩვეულებრივად, ბაქო ტვილისის გზის მუშებს მიმართა, რომელთა შორის ბევრი ქართველიც არის. აქ დაარსდა რამდენიმე წრე. 1901 წ. როცა ტფილისში დემონსტრაცია მოხდა, ბაქოში ძლივს 60 მუშა შეიკრიბა ქალაქს გარეთ შაისობის სადღესასწაულოდ. მართა შემდეგ ტფილისის ამბების სედაგვლენით და სოფი ადგილობრივი სომხ-ინტელიგენტთა დახმარებით მუშათა მოძრაობა სწრაფად განვითარდა და ბაქოც ამოუდგა გვერდით ტფილისს და ორივე ერთად შედგენს სარევოლიუციურ გზას. უფრო ადვილი შეიქმნა მუშათა ორგანიზაცია ბათუმში. აქ მუშების 9/10 ქართველებია, განსაკუთრებით გურიიდან, ხაიდანაც გამოდიან მღწინავე რევოლუციონერთა უმრავლესობა მთელ ამიერ-კავკასიისა. ასე რომ გზადანებული ადგილობრივი მთავრობის თვალში გურული და რევოლუციონერი ერთი და იგივეა. ბათუმში მუშებმა ჩქარა შეითვისეს სოც.-დემოკრატიული პროპაგანდა, და ერთბაშად დაადგენ რევოლუციურ გაფიცვების იხე პოლიტიკურ გზას. ყველაფერ იცის ბათუმელ მუშათა შეტაკება შეიარაღებულ ჯართან დატყვევებულ ამხანაგების გამოხასხსნელოდ, რასაც მოყვა მუშების დახლევა (1902 წ. მარტში). ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღებურა მუშები მთავრობას. აქ ერთბაშად წამოვიდა გაფიცვები, ასე რომ რევოლუციონერთა კითხვა აღძრა თავის საზღვრების სათათრეთში გადატანის შესახებ! წელს რატომღაც აიძულეს მუშებმა ყველა ის ჯარბერი, რომელნიც ამ უკანასკნელ წლებში მუშებს გადახდევინეს, უკანვე დაეხრებინათ. ასევე მოითხოვეს მანათხევის საზღვრის მუშებმა. დაბრუნებული ფულის უმთავრესი ნაწილი გადავიდა მუშათა კომიტეტის გასაში. აქაური კომიტეტი, რომელიც მხოლოდ ქართველებიდან შე-

დგება, მთელ მხნედ და ერთგულად ეპიდება საქმეს. ეგვიპტეში კომიტეტი მეთაურობდა დღემდის გურიის გლეხთა მოძრაობას. ეს მეთაურობა ამ ქამად იტვირთა ამ ერთი თვის წინეთ დაარსებულმა გურიის გლეხთა სოც.-დემოკრატიულ კომიტეტმა, რომლის წევრები გლეხობაა. რამდენათაც ვიცი ეს პირველი გლეხთა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია მთელ რუსეთის იმპერიაში. ამის შესახებ ვრცელად მოვილაპარაკებთ შემდეგ ნომერში.

უმთავრესი ნაკლი კავკასიის მუშათა მოძრაობისა ის იყო, რომ კომიტეტები ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული და ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ახლა ეს ნაკლებად უკლებელია. წელს კომიტეტების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და დაარსეს «გენტრალური კავშირი კავკასიის ს.-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციებისა». «კავშირში» არჩიეს 10 წევრი, ამათში 2 სომხი, 8 ქართველი. «კავშირი» უმაღლესი ორგანოა და განაგებს მთელ ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის საქმეს. ადგილობრივი კომიტეტები მას ემორჩილებიან. «კავშირის» მოვალეობაა სრულად ლიტერატურაზე, ორგანიზების და წიგნების გამოცემა (ქართულად და სომხურად) და სხ., რისთვისაც მის განკარგულებაშია თვეში 350 მ. «კავშირის» პირველი აქტი გამოიხატა სამაისო დღესასწაულებში წელს მისი განკარგულებით ერთ დღეს (27 აპრილს, კვირას) უნდა მომხდარიყო დემონსტრაცია ბაქოში, ტფილისში და ბათუმში. მართა ბათუმში არჩიეს 19 აპრილს (პირველი მაისი ახ. სტილით) მუშების შეჩერება, სოლო ბაქო-ტფილისში, სადაც მუშების საერთო შეჩერება შეუძლებელი იყო, დემონსტრაციის მოხდენა და ნომრულ დროც, რაც, რევოლუციონერთა, კიდევაც მოხდა. ბათუმში კი 19 აპრილს ყველა საზღვრებში, ფაბრიკებში და ასე გახსნა, ვეროც სასწავლებლებშიც კი მუშობა გაჩერებული იყო. ეს პირველი მაგალითია არა თუ საქართველოში, არამედ მთელ რუსეთში. იგივე «კავშირი» სელმძღვანელობს ხსენებულ ბაქო-ტფილის-მისიალოვს საერთო გაფიცვებს.

«კავშირის» ორგანიზაცია: ქართული: «ბრძოლა» (გამოვიდა სუთი ნომერი) და სომხური «პროლეტარიატი» (გამოვიდა ორი ნომერი). ორივე გაზეთი იბეჭდება ადგილობრივად და ნომერი შეიცავს არა ნაკლებ 16 გვერდისას. «კავშირმა» შეიმუშავა თავისი პროგრამა; პროგრამის პოლიტიკურ განყოფილებაში შეტანილია ამიერ-კავკასიის ავტონომია, პარლამენტით ტფილისში. ამ პროგრამას წარუდგენს სრულიად რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონგრესს განსახილველად.

ივნისში პეტროპოლისის პოლიციის დეპარტამენტის განხიწებით ათი კაცი გადაასახლეს ციმბირში, ამათში ორი რუსია, ორი სომხი და 6 ქართველი. აი ამათი სახელები: ფრანჩესკო, გურნატოვსკი, კარადევი, ვარლიანი, ჯიმლაძე, ციმაძე, გიგუა, ჩდვინიძე, ძეგლაძე და ჩანტლაძე. გადაასახლეს ნ. ყორდანიაც, მართა ის გამოეპარა პოლიციას და ამ ქამად სასწავლო ერთი იმყოფება.

რაც შეეხება ადგილობრივ კომიტეტებს, მათი რიცხვი ამ ეგმათ დღისათ: ტფილისს, ბათუმს, ბაქოს და გურიას. მათ ხელშია ადგილობრივი კავშირი და განაგებენ ადგილობრივ საქმეებს «კავშირის» დაქვითვით. ყველაფერ მათ შეგდობას, რევოლუციონერებისთვისაა მთელ მდომარება ერთ პლაპორტში მიმდინარეობდეს. ტფილისის კავშირის შემოსავალია თვიურად 800 მანეთამდის, ბათუმის 600-მდის, ამდენივეა ბაქოში. გურიის გლეხთა კომიტეტი ჯერ ერთი თვისაა. არის აგრეთვე ცენტრ-წვრილი კომიტეტები, მართა ამათ დიდი ძალა არა აქვთ ჯერ.

ბათუმის და გურიის კომიტეტს შეადგენენ ქართველები, ტფილისისაშია ერთი სომხი, დანარჩენი ქართველია. ბაქოში უმრავლესობა სომხებია. უნდა ითქვას, რომ სომხის საუკეთესო ინტელიგენცია დღემდის გულგობილად უყურობს ამ მოძრაობას, სოფი კიდევაც წინააღმდეგობას უწყვენ და მუშებს უჩიჩინებენ, ვითაც ეს სომხის ინტელიგენცი არ იყოს: მათ უფრო სხვა საქმე ჰქონდეთ და სხ. ერთ საუკეთესო სომხის რევოლუციონერს ვკითხე, რატომ არ გვეხმარებით თქვა, მან მიპასუხა: ჩვენი საქმე (ღმრთობის

სომხეთის ვითსვა) დიდური ვითსვაა, სადა უნდა გადაწყვეტს, მერე ვი შევკვიდრება „თქვენ საქმეს“ შევაწიოთ ჩვენი ძალად. უმჯობელია ეს უნდა იყოს მიხეცი, რომ კავკასიის სომხეთში—ერევნის და განჯის გუბერნიებში—დღემდის არ არის არც მუშათა და არც ვლეხთა მოძრაობა. დღეა ჩაუფიქრდენ ამ გარემოებას სომხები და შეიგნენ, რომ თავისუფალი რუსეთი უფრო დაეხმარება დსშალეთის სომხობას, ვინემ თვით-მპყრობელებდა... X

ნაციონალურ მისწრაფებათა გამოვლინება საქართველოში.

(„ღვთობეფენიე“ № 3).

პრაქტიკულ პოლიტიკის ვითსვათა შორის არა გვეღნია მოიბოვებდეს ისეთი მხელად გადასაწყვეტი საგანი, როგორც არის ნაციონალური ვითსვა. ამ მხრივ სარწმუნოების ვითსვაც ვი არ შეეძრება მას. აწრის სინიდიის და მამასადაძე სარწმუნოების სრული თავისუფლება ამასთანავე სრული დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან—აი როგორ გადასწყვიტა თანამედროვე ცივილიზაციამ სარწმუნოების ვითსვა. ამ აწრების განხორციელება ცხოვერებაში ბევრს დაბრკოლებას ჰბოლდებს, მაგრამ ეს დაბრკოლებანი უმთავრესად გამიხატებიან იმ მავნე პირთ მტყმელებაში, რომელთაც საწვადდოთ არავითარ საგნის გადაწყვეტა არა ჰსურთ სიძარბლის და ცივილიზაციის მოთხვის დაგვარად. ხლდ რავი სარწმუნოებრივ—ეკლესიური ბრძოლა სახელმწიფოს და ეკლესიის განმორებით დამთავრდა, საგნის ამ ნაივით გადაწყვეტა შეურყვევლ ფაქტად ვანდა. ახე რომ სინიდიის სრული თავისუფლება და სრული განმორება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან ხდება ერთ-ერთ სავალდებულ პუნქტად ყოველ დემოკრატიულ პრდგრამისა. რუსეთში ამას ყველანი ერთნაირად თხლდობენ, როგორც მცირე რიცხვი გულწრფელ ეკლესიის მსახურნი, რომელთაც ვაიგეს რომ პოლიციური ბატონობა მართმადიდებლობისა წნეებრივ ამცირებს მას, ისე ატვისტები, სექტანტები, რასკოლნიკები და სხვანი. რაიგ შეეჩება ნაციონალურ ვითსვას, იგი არ არის ამნაირად გამორკვეული, სავსებით იგი არსად არ არის ვარდაწყვეტილი, თუმცა რასაკვირველია ვარემე ტომთა მდგომარეობა არსად არ არის ისე სამწესარო როგორც რუსეთში. სავსებით ეს ვითსვა არც შეერთებულ შტატებშია ვარდაწყვეტილი, სადაც დროვამდებობით აღიძვრება ხლმე სან წანგთა, სან ჩინელთა ვითსვა. და თუ შევივარია წარმადგენს ბედნიერ გამივაკლისს, იმიტომ რომ ეს ვითსვა სადად და ადვილადა ვათვალისწინებელი. მართლაც, მაშინ როდესაც სარწმუნოებრივ ვითსვას თეორიული ვარდაწყვეტილება უავე მოღუბვეს ვროვნულ ვითსვის განმარტებისათვის ამგვარი თეორიული ვარდაწყვეტილება ჯერ ვერ მოღუნასავთ. ვსთქვათ, სვინიდიის საქმეები შესაძლდა გამორიცხდ სახელმწიფო კომპეტენციიდან; მაგრამ ყოველ სახელმწიფოს თავის ვარემე ტომებთან აუცილებლად მოღდის ვათ თუ ის შტაკება იმდენად მაინც, რამდენადც მათ ენის მხრივ დამოკიდებულდა აქვთ ერთმანეთში. ხლმ შეუძლებელია ჩამოეგადღს სახელმწიფოს სასამართლო, ადმინისტრაცია, სკოლა; რომელ ენასე უნდა სწარმოებდეს სამართალი, სწავლა, ადმინისტრაციისა და მოქალაქეთა შორის დამოკიდებულება, როდესაც ვანსახვრულ ტერიტორიასე 2, 3 და 4 ვვარის ტომთა მოლაპარაკე სხვა-და-სხვა ენასე, რო-

დესაც ერთსა და იმავე საქმეში არიან ჩარეული სხვა-და-სხვა ენასე მოლაპარაკე მოქმეები, როდესაც ერთსა და იმავე სკოლაში დაიარებიან ბავშვები, რომელთაც ერთმანეთისა არა ესმისთ რა? ხომიელე და ხშირად შეუძლებლდა ამ ვითსვათა ვანდნიერი ვარდაწყვეტისა იწვევს სამწესარო შედეგს. რუსეთში ყველას, როგორც რუსებს, ისე მალდროებს, პოლდნელებს და ურთებს ერთნაირი ძალა სჩავრავს. ეს ძალა სჩავრავს და ავიწრვეებს ბატონა ერებს ვითდმა ველიკდრუსთა სახარგებლოდ, ხლდ ველიკდრუსებს—ვითდმა მთელი რუსეთის იმპერიის საკეთილდდოდ. ნამდვილად ვი ყოველივე ეს ხდება მმართველთა მცირე ჯგუფის ვასამლოერებლად. მიუხედავად ამისა, ჩვენ, დზონიციის წარმდმადგენლები, არა ერთხელ ვახარებთ ხლმე ამ ჯგუფს ჩვენის მოუთივებლობით და უთანხმოებით. „ღვთობეფენიის“ მკითხველებმა ივიან, რა სამწესარო უთანხმოება ვანხდა პოლდნელებთა შორის ნაციონალურ ვითსვის შეხასებ და რანაირად, ამ შეუთანხმებლობის ვამდ, სუსტდება მათი ძალ-დონე რუსეთის თვით-მპყრობელებსთანბრძოლისათვის.

თუ ნაციონალური ვითსვის ვარდაწყვეტა თანახმად სინიდიისა და ცივილიზაციისა მხელია, სამავიეროდ მისი ვარდაწყვეტა თანახმად დესპოტიურ ბრინციბისა ძლიერ ადვილია. ახე ვარდაწყვა რუსეთში პოლდნელების, ფინლანდიელების და უკრაინელების ვითსვა (ამ უკანასკნელთ ალტკრძალეს სახარების წავითსვაც ვი დედა-ენასე). ამგვარადვე ვარდაწყვა ქართველთა ბედე.

სამწესაროდ რუსულ ინტელიგენციის დიდი უმრავლებობა სრულიად არ იცნებს არც საქართველოს ისტორიას, არც მის თანამედროვე მდგომარეობას; და მცინი არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ უმეტესი ნაწილი იცნებს ამ ქვეყანას ლტომენტვის ნაწერობიდან და სელვანთა ნაწარმობით. იქ ვი სცნობრებს ხალხი, რომელმაც შეჭქმნა თავისი სახელმწიფო და გულტურა ბევრათ უფრო ადრე, ვიდრე ნოვგდროდებლმა შეიგნეს, რომ მათი მიწა „დიდია და ნავოლდობი, ხლდ უწესებდაა შიგ ვამეგებული“.

აქ წერილის ავტორს მოეჭავს საქართველოს რუსეთთან შეერთების მოკლე ისტორია და ისტორიული უსამართლობა, რომლის მსხვერპლად ვანდა ქართველი ხალხი და დასმენს:

„ქართველები, რომელთ წინაპართ მოისურვეს რუსეთის მფარველობის ქვემ ყდუნა იმ იმედით, რომ რუსეთს უნდა აღმოეჩინა მათვის დახმარება სპარსეთ-დსშალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ვამად რუსეთს ბროტესტს უგზადებენ. და ამ ბოლდ სანემში თავი იჩინა ძლიერმა დზონიციონურმა მოძრაობამ, რომელმაც დაარსა თავისი ლიტერატურული ორგანო „La Géorgie“ (საქართველო) ფრანგულ ენასე პარიში.

„La Géorgie“ დარწმუნებოლია, რომ თანავტმობას მოიბოვეებს რუს-ლიბერალთა და სდგიალისტთა შორის და არც სდგება ამამი. არც რუს-ლიბერალებს, დიდ უმრავლესობას მაინც, მით უმეტეს, არც სივიალისტებს საერთოდ არა ჰქვლიათ თა მთავრების სასტიკის პოლიტიკასთან. რუს-ლიბერალები და რადიკალები მსურვალედ თანაუგტმობდენ ყოველთვის პოლდნეთს, რომელიც სდდილდს დაიბრუნდს ვარგულელი უფლებები და ფინლანდიას, რომელიც იბრძვის თავის უფლებათა დახარგავად. ვისაც თავისი სამომდოდ, თავისი ხალხი და თავისი კულტურა უყვარს,

არ უნდა სძულდეს სხვა ტომის ადამიანი იმიტომ, რომ მასაც უყვარს თავისი ხალხი, თავისი სამშობლო, თავისი კულტურა, რომლის დასაცავად იგი მზად არის თავის შესწირვს. არც ერთმა რუსმა შესწირა თავი პოლდნეთის თავისუფლების საქმეს (1863). ჩვენ საბუთი არა გვაქვს ქართველებს სხვანაირად მოღვაქცეთ.

«La Géorgie»-ს კარგად ესმის, რომ ძველი ქართველთ სხეულში აღდგენა შეუძლებელია და არც მიისწრაფვის მისკენ. მას ჰსურს მხელდოდ საქართველს ნაციონალური ავტონომია, რომელიც იქმნება ნაწილი თავისუფალ ფედერაციულ რუსეთისა. «საქართველო» სცდილობს წინააღმდეგ განმარტულ სოციალურ საკამათო კითხვას. სახელდობრ, სომხების და თათრების უფლებრივი მდგომარეობა ავტონომიურ საქართველოში.

აქ ჩვენ ფუნ-და-ფუნ ვერ მივყვებით გაზეთს ამ ძნელ კითხვის გადაწყვეტაში, მაგრამ სულით და გულით ვუსურვებთ დაადგეს იმგვარ დასკვნას და გადაწყვეტილებას, რომელიც იქნება ხელსაყრელი, როგორც სომხებისთვის, ისე თათრებისათვისაც.

«La Géorgie»-სთან ერთად ჩვენ სისხარულით ვეგებებით იმ ობიექტიურ მოძრაობას, რომლის ორგანიზაცია და იმედი გვაქვს, რომ ეს ნაციონალურ-ქართული ობიექტია თავის წვლილს შეიტანს იმ საერთო გამანათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელმაც უნდა დააკავშიროს ყველა ობიექტიური პარტიები.

სომხების თანაგმნობა.

სომხს რევოლუციონერთა ფედერაციისაგან რომლის ორგანო «დრმჰაკა»-ია მოგვივიდა შემდეგი წერილი:

«... დიდის კმაყოფილებით გავიგეთ, რომ, თქვენი გაზეთი სოლიდარობას ჰქადაგებს სომხთა და ქართველთა შორის—იმ ორ ძეგლებს ერთა შორის, რომელნიც დაკავშირებულნი არიან, როგორც წარსულით, ისე მომავალით. ჩვენს თავს მოვალედ ვხდით დავიცვათ ეს სოლიდარობა, ეს თანაგრძობობა, რომელიც დღევანდელ დემოკრატიის უმთავრეს პრინციპად არის აღიარებული.

«დრმჰაკა»-ის ერთ-ერთ წიგნში თქვენი გაზეთის შესახებ წერილს დავბეჭდავთ.



სომხის გაზეთი «L'Arménie» (n° 177) ჩვენი ორგანოს შესახებ სწერს:

«ეს არის ორგანო სერიოზული და საფუძვლიანი, რომელსაც მისნად აქვს «გაუღვიძლოს ქართველებს ერდუნული პოლიტიკური შეგნება და მოამზადოს სიადგილი საქართველოს ავტონომიისათვის». რედაქტორებმა კარგათ იციან, «რომ ქართველების კითხვას არ აქვს დამოკიდებულება ინტერნაციონალურ პოლიტიკასთან, როგორც მაკედონელებისა და სომხების კითხვას», მაგრამ ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევენ დაწინაურებულ ხალხების წინააღმდეგ დახმარებას. ჩვენ ყოველთვის სრულ თანაგრძობობას ვუცხადებდით პარტარა, გულად ქართველ ერს, ძეგლებს და მოძმებს ტანჯულ სომხის ერისას. ესლავ ვუსურვებთ ყოველ გამარჯვებას ჩვენს ახალს თანამოძმებს.

ქართულ ცხოვრების მახინჯი

რასაც გვერთ ახალი ამბავი აღარ არის. მაგრამ მისი გამომქვეყნება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია. თებერვალში გეგნათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემული «ქართული ცხოვრების» პირველი ნომერი. პარტიის მიერ გამოცემული «ქართული ცხოვრების» პირველი ნომერი. პარტიის მიერ გამოცემული «ქართული ცხოვრების» პირველი ნომერი. პარტიის მიერ გამოცემული «ქართული ცხოვრების» პირველი ნომერი.

ვაუწყებთ მკითხველებს სასიამოვნო ამბავს, ნოე ჟორდანიას, რომელსაც ერთი წლის ციხეში დაპატიმრების შემდეგ, ვიატკის გუბერნიისაში გაგზავნა გადაწყვიტეს, ჯანდაბნებს სწავიდამ გაუსხლტა და სამხლვარ-გარედ შეიხიხნა, სადაც ამ ჯამად მშვიდობით იმყოფება.

სახულიერო მმართველობამ გააგრძელა ხმა, ვითომ გავკახისაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორის თანამდებობა უნდა გაუქმდებოდა. ამ სკოლების ინსპექტორად იყო ბ. გუბისი მამინიაშვილი. ესლა გი გაზეთებში სწერენ, ინსპექტორის თანამდებობას აღარ აუქმებენ, სოლო ბ. მამინიაშვილი გადაიყვანეს რუსეთს, სტაროდუმის სახულიერო სასწავლებლის შედამხედველის თანამდებობა. მთავრობამ თავიდან მოიშორა ქართველი ინსპექტორი, რომლის ნაყოფიერი მოღვაწეობა არა ერთხელ იყო შემოქმედული თვით რუს რევიზორების მიერ. ამგვრად ყოველივე ეს ვლადიმერის საქმეა. ვლადიმერის საქმეა აგრეთვე სხვა უსამართლო განკარგულება, რომლის ძალით საქართველოს საერთო და სახულიერო სკოლების უფროსი მასწავლებელი დღევანდელ რუსი უნდა იყოს. ამრიგად, ურცხვად, უდიდოდ, საქვეყნოდ გვარცხვენ და შეურაცხყოფენ. როგორღონ უნდა ვითმინოდ ამგვარი თავსეიდობა?

კომინევის ვინგ-გუბერნალერი, უსტრუგოვი გავკახისის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად დაუნიშნავთ. რათა ჩვენმა მკითხველებმა იცოდნენ, რაკვარ მღვდლებს მიმნავენ გავკახისაში, მგეტი არ იქმნება გავანდოთ მათ, რომ ასლად ჩამოსული მღვდელი ის უსტრუგოვი, რომელმაც ისახელა თავი კომინევი გმრაველთა სოფლის დროს. უსტრუგოვი დიდი მკვლარი იყო ბ. კრუმევიანისა „ბესარაბიის“ რედაქტორისა. ებრაელთა მოძულე გაზეთში თანამშრომლობდა კიდეც. არეულობის დროს, როცა ქუჩებში გამხეცებული «ქრისტიანები» სოციალდენ უმედურ ებრაელებს, უსტრუგოვი არხიანად საფარბაზოდ დადიოდა და როცა მის გრლს გარს ესვეოდნენ ებრაელები და მთარველობას ემუდარებოდნენ, გულ-ქვა ადმინისტრატორი უყვიროდა მათ: „გამეცალენით, ურთებოდ (жиды) *). აი ამგვარ მღვდლებს გვიმიმნავენ ჩვენ.

ტპილისის გუბერნატორმა, სვეჩინმა, აღკრძალა წარმოდგენის გამართვა და ფულის შეკრება კომინევი დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ.

ამას წინად დააპატიმრეს პოლუხიკი შენგელია. მას აბრლებდნენ, ვითომ დიდი მთავარი ნიკოლს მისეილის მის მოკვლა განჭრასა. ასლა აღმოჩნდა, რომ შენგელია სრულიად უდანამაულად და ფიქრადაც არ მოხვლია დიდი მთავრის მოკვლა. ადმინისტრაცია მერად მერცხვენილია. დიდ მთავარს მიუწვევია სადილად შენგელია და უჩუქებია მის-

*) იხ. „Кишиневский погромъ“.

თვის თავისი სურათი, რომელზედაც დაუწერია: „დავივიწყეთ წარსული“. „შენგვლია ამ საჩუქარს ყველას უჩვენებს, სწერს „ღვებობაჯგინებს“ მისი ტფილისელი კორესპონდენტი. ქართველი სასოგადოებრივი დაჯგუფების „დაჯგუფების“ ან ვიცით, ქართველ სასოგადოების რომელი ნაწილი აქვს მსხვერპლად კორესპონდენტს, ვიტყვი მხოლოდ დარწმუნებით, რომ ამ სასოგადოების შეგნებულ ნაწილს ვერ შემთხვევით დიდი მთავრის საჩუქრებით.

1 ივლისს აღმოსავლეთ ციმბირში გაისტუმრეს ოთხი გაცი (ჯიბლაძე, ვარდიანიძე კარაჯივი და მკვლადი).

სალხა ნამდვილად არ იცოდა, რომელ სადგურზე მიიყვანდნენ პოლიტიკურ დამნაშავეთ. ამიტომ ორად გაიყო: ერთი ნაწილი ნავთლუხისკენ გაეშურა, მეორე—ტფილისის სადგურისაკენ. პირველი ჯგუფი მალე გაჰფანტეს, ხოლო მეორე ნაწილმა, რომელსაც რვინის ვისი მუშებიც შეუერთდნენ (2000 კაცი), მატარებლის შეჩერება მოახერგა. უანდარმებმა და პოლიციელებმა სოფლა დაიწყეს. ბევრი დასჭრეს. მღჰკლეს ახალგაზრდა ყმაწვილი, გალუსტოვი. ამგვარივე დამონატრადია მთავრისა სალხა კორძია, სადაც მატარებელი ხელ-ასლად შეჩერებულ იქმნა (ისკრა).

«Berliner tageblatt»-ის მოწმობით, ბაქში მომხდარ მუშათა გაფიცვაში 60,000 კაცს მიუღია მონაწილეობა. რუსები, გერმანელები, სპარსელები, სომხები და ქართველები.—ყველანი შეერთდნენ საერთოდ ბრძოლისათვის. მუშები ითხოვდნენ: სამუშაო ფასის მომატებას, 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ჯარიმების გაუქმებას და საქარხნო კანონების სატიკ აღსრულებას.—ტფილისში გაფიცვა მთავრის ქარხნის მუშებმა, მეყახბეებმა, პურის-მცხობეებმა, სელონებმა, ტრამვაის და ტრაქტორების მოსამსახურებმა. თ. გოლიგინის განკარგულებით, ყაზახ-რუსებს დაავალეს საქონლის დაკვლა, პურის ცხობა. ჯარის-გაგებს ავსებდნენ ტრამვაებზე სამსახური. კურნების და კონდუქტორების თანამდებობას ხალდათები ასრულებდნენ. თითო ტრამვაის თღვევით შეიარაღებული ორი ჯარის-გაცი თან ახლდა. «Matin»-ს მოწმობით სამურში მოუკლავთ 21 კაცი და მრავალი დაუჭრიათ.

ჭიათურის მუშებმა ივლისში გაფიცვა მთავრისგან. მუშებში დიდი აღელვება ჰსუფუკდა. ძლიერ ემუქრებოდნენ მთავრის ინჟინერს, ჭიჭინაძეს, ინგლისურ კომპანიის გამგებს. მის სასლს გვესლი წაუკიდეს. მოკვლასაც უპირებდნენ. ამ ყამად ჭიათურში ჯარია ჩაყენებული.

როგორ მივხვდნენ „საქართველოს“ გამოსვლას ევროპის კრებას და ევროპიელი საორობადო მოღვაწეები.

(დანიის ცნობილმა კორესპონდენტმა, ყოფილ ბრანდენბურგის, ვიდიკონა ვრცელი წერილი—„ქართველი ერი“, რომელიც დაიბეჭდა დანიის გაზეთ „პოლიტიკენ“-ში № 180).

კარგა ხნის განმავლობაში სუფუკდა ის აზრი, რომ კლასთა ბრძოლა დაიჭურდა ერთა შორის ბრძოლის ადგილს, კლასთა ბრძოლა ყოველ კუთხეში დღითიდღე მწვავედება, მაგრამ ამავე დროს მტრულმა დამოკიდებულებამ დამჩაგვრულ და დაჩაგრულ ერთა შორისაც მთავრის უკიდურესობამდის.

რამდენიმე უძველესმა ერმა, მთელი საუკუნეების ტანჯვის შემდეგ, ამოიღეს ხმა თავის ეროვნების დასაჯველად. პოლონელებს მიჰყვნენ ბელგარელები, სომხები, ფინლანდიელები და მკვედრიელები. თვითვე ამ ერს ჰსურს მთიჭვილს ევროპის ყურადღება,

გაანდოს თავის თავი სხვა-და-სხვა ენაზე გამტკიცებულ ქურნალთა სამუშაოებით.

მაგალითად, რუსების ემიგრანტების ორგანო გამოდის ინგლისურ ენაზე, სიონისტებისა, ფრანგულ და გერმანულზე, პოლონელების, ფინლანდიელების და მკვედრიელებისა—ფრანგულ ენაზე.

ამ უკანასკნელ დროში სხვებთან ერთად, ხმა მალღობრებმაგ აამაღლეს. მიმართეს ევროპას თავიანთ ორგანოს სამუშაოებით, რომელიც გამომვიდა გერმანულ ენაზე მაისის დასაწყისში. ეს ხალხი მღუთხრებს იმ უსაზღვრო ტანჯვას, რომელსაც იტანს იგი რუსეთის მტარვალობის ქვეშ. და აი ეხლა ხანს პატარა ერმა, რომლის ისტორია ისეთივე ძველია, როგორც ებრაელთა და სომეხთა, დაარსა პარისში თავისი ორგანო... ამ ორგანოს სამუშაოებით მას ჰსურს უსრულველ ევროპას გაუზიაროს თავისი მწარე ხვედრი. ეს პატარა ერი—ქართველი ერია. აი სწორეთ მთელი საუკუნეა, რაც რუსეთმა შებდალა ქართველების უფლებანი, დაარღვია ხელშეკრულება და აღიარა საქართველთა თავის პრვიციციათ.

უძველეს დროიდანვე ეს პატარა ერი იბრძოდა თავის ანსებობის დასაცავად. პირველი ქართველი მეფე ფარნაღი მეფობდა სამის საუკუნის წინთ, ვიდრე ჩვენს წელთ აღრიცხვა იწყებოდა. თუ გაითვალისწინებენ, რომ საქართველთა რიგ-რიგად ახადგურებდნენ არაბთა ხალიფები, სპარსელები და მღვდოლები, სწორედ გაცდებოთ, როგორ დაიცვა ამ პატარა ერმა თავის დამღუკიდებლობა 1801 წლამდინ.

საქართველთა მღებარებობს კასპიისა და შავი ზღვას შუა, კავკასიის მთების სამხრეთით. ეს მხარე მთიანია, დასერილი მრავალი მდინარით. მისი თბილი ჰაერი ხელს უწყობს ყურმის, ბრინჯის, თუთუნის და თერძობის მოყვანას; აგრეთვე იგი მდიდარია მადნეულდობით და ნავთით. დედა ქალაქი, ტფილისი, ცნობილია თბილის წყლებით.

საქართველთა იყოფება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებთ. ადგილობრივ ენაზე ამ ქვეყანას ჰქვიან საქართველთა და მცხობრებთ ქართველები. ქართველებს განსაკუთრებული ენა აქვთ. მრავალ სწავლულთა სიტყვით, არისტოტელი და სხვა უწინდელი მწერალნი იხსენიებენ ამ ენას თავიანთ თხზულებებში. ეს არის ის ქვეყანა, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ კოლხიდას და რომლის ხსენებაც გვიღვივებს სახელგანთ ისტორიულ მოვლენებებს იაზონზე, მედეაზე და არგონავტებზე, მხოლოდ ამ ქვეყანაში ოქროს ვერძის საძებნელად, ის ქვეყანაა, სადაც კლასიკურ ნებირ-გადმღვების თანახმად, კავკასიის წვერზე ბრძოთეი იყო მიჯაჭვული. და აი თითქმის მხოლოდ ამგვარი მითოლოგიური ცნებანი შეადგენენ თანამედრველ ევროპელთა ცოდნას საქართველთა შესახებ. ხოლო დანამედრველ საქართველთა და ქართველთა მოქმედებას ამნაირ მითოლოგიასთან არავითარი მსგავსება არა აქვს...

აქ ავტორი მოუთხრებს თავის მკითხველებს საქართველთა წარსულ ისტორიას. და რუსეთთან შეერთების შესახებ ბრძანებს:

... 1783 წ. საქართველთა მეფე ირაკლი II, პირლობა შეჰკრა რუსეთთან. ამ პირლობის ძალით რუსის ჯარებს ეძლეოდათ ნება თავისუფლად შემოხვლა საქართველთა ტერიტორიაზედ სპარსელებთან ღმის დროს. ამის სამაგიეროდ ეკატერინე II პირლობა მისცა, დაეცვა იგი მის ორ მძლავრ მტრისაგან—ღმსაღვთისა და სპარსეთისგან. რუსეთს უნდოდა ამით

ესარგებლა და ჩაეგდო ხელში დაუძღვრებელი სა-
 ქართველი. ეკატერინემ პირველ შემთხვევაშივე და-
 არღვია პირდა და სწორეთ იმ დროს, რდღესაც
 ირაკლის სჭირდებოდა დახმარება, რუსის გენერალმა
 ტოტლებენმა თავი დაანება მას და თავის ჯარებით
 წავიდა. ეს იყო სწორეთ ოსმალებთან ბრძოლის წი-
 მალეში (ახინის ომი). მაგრამ, როცა 1795 წ. სპარ-
 ხელების 50,000 ჯარი თავს დაესხა ტფილისს,
 ააღწრა და დახწვა იგი, ირაკლიმ ვეღარა გააწყ-
 რა. ეკატერინე II-ს შემდეგ, პავლე I გამფითნოვა
 საქართველდან რუსის ჯარები. 1798 წ. გიორგი XII
 ჩაიბარა თავისი მამისგან დაუძღვრებელი სამეფო
 და, ერთი წლის შემდეგ, რა ხანა თავის უძღვრება,
 იძულებული შეიქმნა ისევ რუსეთისათვის მიემართა.
 ხელახლათ იყო მეკრული პირდა და ამ პირდით
 გიორგი XII, ადიარებდა რა რუსეთის უპირატესობას,
 თავის დამოუკიდებლობის და მეკვიდრეობის წესს
 იცავდა. საუბედურეთ გიორგი XII მოკვდა, ვიდრე
 ამ ხელშეკრულებას დააბოლოებდენ და 1801 წელს
 პავლემ თავხედათ გამოსცა «უკანია», რომლითაც აც-
 ხადებდა საქართველს სრულ შეერთებას რუსეთთან.
 თუმცა გიორგი XII-ს მეკვიდრე დავითმა დიდი წი-
 ნააღმდეგობა გამთაცხადა ამახედ და ეცადა კიდევ
 თავის უფლებების დაბრუნებას, მაგრამ ყოველმა
 ცდამ ფუჭათ ჩაურა. რდღესაც პავლე I-ს მოკვლის
 შემდეგ, ალექსანდრე I ავიდა ტახტზედ, მისმა მახ-
 ლდებებმა ურჩიეს სრულიად დაეძნე ქართველების
 უფლებები. მას შემდეგ ერთი საუკუნის განმავლ-
 ბაში ქართველები სდუმდენ. მაგრამ ესლა დაარღვიეს
 ეს დემილი, თავისუფლების აღმა დაურა მათ სხე-
 ულში და კვლავ მიიწრაფვიან განთავისუფლებისკენ.
 მათს წინა რაწმს შეადგენს განათლებული ახალგაწ-
 დობა. მათ სრულიადაც არ სურთ თავის სამეფოს
 აღდგენა. მათ უნდათ თავიანთ ერდვრულ საქმეებს,
 თვითონვე მოუარენ. 1) მათი პირველი თხოვნა,
 იგივე უფლებები მიანიჭონ, როგორც რუსეთის შიდა
 გუბერნიებში, რადგან ქართველები უმცირეს სამარ-
 თლითაც კი არ ხარგებლობენ, სხვებთან შედარებით.
 2) მათ არა აქეთ ერდობა (სემსტვლ) და ნაფიც მსა-
 ჯულთა ინსტიტუტი; ამასთან მათი დედა-ენა განდევ-
 ნილა სკოლებიდან. ამას ცხადათ ვხედავთ პრედედ-
 ნობსევის წყობილიდან, რომელშიც სამდგდელებას
 უკრძალავს სამრეკლ სკოლებში ქართულ ენაზედ
 ასწავლენ. ყოველ ამგვარ წდმას, მოსწავლეთა სახარ-
 გებდდ კი არ ხმარდბენ, რადგან რუსული ენა იშვი-
 თად ესმისთ მოსწავლეთ, არამედ რუსული ენის გა-
 ხავრდებლად. რაც შეეხება სკოლებს, მათი რიცხვი
 უმცირესია და ისე ცუდათაა დაყენებული, რომ
 მოსწავლეთა მეფთხედმა ძლივს იცის წერა-კითხვა.
 3) ქართველებს მსურთ რუსეთის დეცენტრალიზაცია,
 რომლის წყალდობითაც ყველა დაჩაგრული ერი შესძ-
 ლებს წელში გაიპართეს. მათი სურვილია დაარსდეს
 ფედერაცია, რომელიც ყოველ ერს თანაბარ უფლე-
 ბას მიანიჭებს, სდმენი იქნება იგი, რუსი თუ თათარ-
 ი. 4) ქართველები ამტკიცებენ, რომ კავკასიის შე-
 მოხავლიდან მთავრდობა 67 1/2%. სულ სხვა გარეშე
 საქმეებს ახმარებდ. ქართველები ჩივიან, რომ მათ
 ჯარის-კრთ კავკასიაში არ სტოვებენ, როგორც კვ
 ხელშეკრულები იყო მოხსენებული და კზავნიან
 მათ რუსეთის განაპირთ მხარეში, მაგ., ციმბირში,
 ქართველები ვერ იტანენ სუსს ჰაერს და მრავალი
 იხდებენ.

ქართველების გამდვინსლება ახალი საბუთია იმი-
 სა, რომ რუსეთის თვით-მწყობდებლობის დღენი და-
 თვლილია. დაბეჯითებით მხელია ვსოქვათ, რდღის
 მოედება ბოლო მას. ჩვენ ამ მსრივ არ ვეთანსმებით
 ოპტიმისტურ მოლოდინს რუსეთის რევოლიუციო-
 ნერებისას, კრდობტკინისა, ვერა წახულოისა და
 სხვებისა. იმას კი ვამბობთ, რომ ეს სულის შემსუ-
 თავი მდგომარეობა დცს წელიწადზე მეტს ვეღარ გა-
 სტანს. ყოველი დაჩაგრული ერი იღვიძებს და ითხოვს
 თავის უფლებებს; ხანვადდთ სხვა-და-სხვა კლასე-
 ბიც იბრძვიან თავიანთ მდგომარეობისათვის. ყველა-
 ნი ერთდებიან საერთო ბრძოლისათვის, ისეთებიც
 კი რომელნიც სულ დამორბებული იყვნენ ერთმანეთ-
 თან. მაგალითად, ფინლანდელთა და რისეთის ობო-
 წიციის შდრის დიდი უფსრული იყო ამ 10 წლის
 წინათ; ესლა კი თვით ერთგულნი ფინლანდიელებიც
 უერთდებიან ამ ობოწიციას. ამგვარივე უფსრული იყო
 რუს ინტელიგენტთა და მუშათა შდრის; ესლა ვსე-
 დავთ, რომ სტუდენტები და მუშები ერთათ იბრ-
 ძვიან.

წოვს მეტად ხანგრძლივათ მიახნია ამ რევოლიუ-
 ციის ლოდინი, მაგრამ მის მოხვლის შესახებ ისე
 ვართ დარწმუნებულნი, როგორც სამთარში ვართ
 დარწმუნებულნი, რომ მალე გასატყული გავწევვა.

ჟორჟ ბრანდესი



ფრანგ სოციალისტთა უმთავრეს ორგანოში «La
 Petite République»-ში (პატარა სესპუბლიკა) ქარ-
 თველთა მოძრაობის შესახებ სწერენ:

«რუსეთის ცარიზმის ძალმომრეობას ორი მხა-
 რე აქვს. ერთის მხრივ, იგი მოელს იმპერიაში
 სდევნის პოლიტიკურ მოძრაობას, იმდნავებს თავის
 ქვეშევრდომთ სქესის, ხარწმუნებობის და ერ-
 ვნების განურჩევლად. მეორის მხრივ, იგი ყოველ
 დღნისძიებას ხმარდბს, რომ აღმოდვზრას ძირია-
 ნად ერდვრული ფიციონდმია მრავალ პატარა ერე-
 ბისა, რომელნიც რუსეთის იმპერიაში სცხვრდბენ.
 სდევნის მათ ესას, აუქმებს წარმომადგენლობით
 დაწესებულებებს და პარტივს არა სდემს პოლდენე-
 ლების, ფინლიანდელების, ებრაელების, ლიტვიანე-
 ბის, სდმსების და ქართველების წენ-ჩვეულებების.
 ამ უკანასკნელების, ქართველ ხალხის შეწუხების
 შესახებ მაინცდა მაინც ბევრი არა ვიცდით რა.
 ქართველი ხალხი კი იჩაგრებდდა და იჩაგრება იმ
 სასტიკდა განრწინლ რეჟიმის ქვეშ, რომლის სულის
 ჩამდგმელი პრედედობსეცია»...

განეთი აღნიშნავს ჩვენი ორგანდს გამდვლის
 მიწანს და ჩვენი პოლიტიკურ პროგრამის შესახებ
 ამბობს:

«ქართველები სრულიად მართალნი არიან, რ-
 დესაც ამტკიცებენ, რომ დესპოტიზმისაგან გან-
 თავისუფლებულ რუსეთმა ფედერატიული წესწყ-
 ბილება უნდა შემდიდეს. რუსეთის დეცენტრალი-
 ზაცია საქართველს საშუალებას მისდემს თავი-
 სუფლად განავითარდს თავისი ერდვრული ცხდ-
 რება. ქართველების უმთავრესი ცდა იმაწვა მიქცე-
 ული, რომ შეუერთდნენ ფინლიანდელებს, პოლ-
 დელებს, სდმსებს, რუს-ლითონალებს და განსაკუთ-
 რებით სოციალისტებს, რომელნიც ასე თავდადებთ

ებრძვიან თვით-მპყრობელობას. ამკარაა, საჭარო-
ველს დედა-ქალაქის, ტფილისის მუშებს შეუგ-
ნათ ეს და ამიტომაც არის, რომ ისინი ტფილისის
ქუჩებში აფრიალებენ წითელ დროშასა.

ო რ ი ა ლ მ ი ნ ის ტ რ ა ტ ო რ ი.

(ვლენს ბუნდებისაგან).

გურულ გლეხების მოძრაობას მოჭყვა ქვემო-იმერლების
მოძრაობაც: აქაც გაიფიქრნენ გლეხები და მოითხოვეს ახ-
ლი პირობები მიწის იჯარისა. მოძრაობას იმ თავითვე მე-
ტიდ მშვიდობიანი სახითი ჰქონდა: თვითღირ თავად-აზნა-
ურობასთან დამოკიდებულებაც გამწვავებული არ ყოფილა
და არც არის, უფრო, რასაკვირველია იმიტომ, რომ ადგი-
ლობრივი მეშამულენი თითქმის ყველა წვრილი მესაკუთ-
რენი არიან და გლეხსავით მიწის მმართველნიც.

ასეთი მშვიდობიანი სახითი მოძრაობისა მეტიდ არ გჭა-
ნისა ხალხის გეთილისმყოფელ ადმინისტრაციას: ძალმო-
ძრობისა და დაწინაურების საშუალება ხელიდან ეცლებო-
და და სხვაზე შრუნვა და ფიქრი სდამ მას არ შეუძლია!
ამიტომაც არის, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი ყო-
ველ დღეს დღენდებენ საქმე უკიდურესობამდე მიიყვანონ.
იმყავს მაგალითი.

სოფელ კულამს (ქუთ. მარა) ერთ მეშამულეს სამხარე-
ულ ხალხი დაუწევს. სრული დარწმუნებული ვართ, რომ
ეს გლეხების მოძრაობის საქმე არ არის. ადმინისტრაცია-
მაც კარგად იცოდდა ამ მოძრაობის უბრალოება, მაგრამ მა-
ინც მას მიაწერა და ქუთაისის მარზის უფროსმა თავადმა
დადიშქელიანმა შემდეგ დღისიძიებას მიჰმართა: მოუყარა
თავი სოფელელებს და გამძვინვარა—სახლის ფასი სოფელმა
უნდა გადაუხადოს მეშამულეს, რადგან დამნაშავე ვერ მო-
ვინსავთო (ესეც „Кругом и порука“-ს მოხსობდა!) წამოიღო
ერთი ფენიერთი გლეხი და შემდეგი მდასხენა ბრწყინვალე
თავადს: ბატონო, ეგ უსამართლობაა; ავი გაცის საქმე რა
ჩვენი სასწავლია, ან სად შეგვიძლია ჩვენ, გლეხებს, დამნა-
შავენი ვეძებოთ, როცა დიდიდან სადამომდე ვმუშაობთ.
თქვენა ხართ დანიშნული ამისათვის, ფულსაც თქვენ იღებთ
და თქვენ მოძებნეთ. გა ბ რ ა ს ე ბ უ ლ შ ა და დ ი შ ქ ე-
ლი ა ნ მ ა ი ქ ვ ე გ ა ა რ ო შ გ ვ ი ნ ა ს ა ბ რ ა ლ ო გ ლ ე ს ი!

ჩვენ არ ვგვყრდნობა ეს ამბავი, მაგრამ სამწუხაროდ მარ-
თალი გამოდგა. სვანეთის მთავრის შვილი დღეს რუსის
მთავრობის ჯალათი გამხდარა, ჯალათი თავის ნებით და
სურვილით, თორემ ძალას ვინ ატანდა ასეთი მხეცური სა-
ქციელი ჩადინა.

ღსურვეთის მარზის უფროსი ჯადარბიე სდამ მარტო
ხალხის გარღწევამი სედავს თავის თანამდებობის ასრულე-
ბას. როგორც ნამდვილად შევიტყვე თავის სანმოკლე ად-
მინისტრატორების დროს ოცამდე კაც ი გა უ რ ო შ-
გ ა ვ ს.

ამას რომ სამინელი მკვლელმა და ყაჩაღმა მოჭყვეს,
რასაკვირველია, ყველაფრეს გურულებს დააბრალებენ და
ჯადარბიე კი მართალი საქმისთვის წამებული გამოვა.

არც დადიშქელიანს, არც ჯადარბიეს არ ესმისთ, რომ
ერთსა და ხალხის საქმეს დალატებენ უსინიდიოდ და გარ-
ყენილ ადმინისტრაციის გულსათვის. მაგრამ ამათ ჯანი
გვარდეთ! უფრო სამწუხაროდ მკვლენა ის არის, რომ ჩვენი
საზღაოდება იმდენად შეუწინაველი და მოუშადებელია,
რომ ასეთ მოღალატეებს არა თუ სურვს არ აქნევს სიზ-
ღით, იღებს კიდევაც და თავის წევრებად სთვლის.

ა რ ს ე თ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა.

იდანე კრენტადელს რუსეთში წმინდა კაცის სახელი აქვს
მოპოვებული. ამ „წმინდა კაცმა“ ამას წინად ყოველად უწმინ-
დური საქციელი ჩადინა. კომისევის საზარელ ამბების გა-
მოდ გენერალ კირეევს უთქვამს კრენტადელისათვის, ხელ-
მწიფე ძლიერ სწუსოდ. კრენტადელმაც, გაიგო რა სელმწი-
ფის წესილი, მკაცრად გაჰვიცხა კომისევის ქრისტიანი ხალ-
ხი, ებრაელებს არა-ქრისტიანულად მოექცეით. მაგრამ,
თურმე სელმწიფის წესილი მართალი არ გამომდგარა.
კრენტადელს გაუგია, რომ სელმწიფეს არ უჭირავს ებრაე-
ლების მხარე, მას 25,000 მან. მიუცია საჩუქრად „ბესარაბე-
ვის“ რედაქტორ კრუმევიანისათვის, რომელმაც თავისი ნა-
წერებით გამოიწვია ებრაელების წინააღმდეგ მოძრაობა.
გაიგო რა ყოველივე ეს „წმინდა მამამ“, დასწერა წერილი,
რდამელშიაც სხვათა შორის, ბრძანებს: „...ქვე დავრწმუნდი,
რომ ბოლოს და ბოლოს ქრისტიანებმა იხარალებს. ებრაე-
ლები ზარალისათვის კარგად დააჯილდოვეს... ქრისტიანებს
ვედარ გავამტყუნებ, ებრაელებმა გამოიწვიეს არეულობა,
ბრალიებრაელებს ედებოთ“... ამგვარად სცვლის თავის აზრს
და მჭემეტყველებს ანაფორამი გამოიწვია სასახლის
ლაქია.



კიევში შემდეგი ამბავი მოხდა. არეულობის დროს
გენერალ - გუბერნატორმა უბრძანა აფიცრებს, ხალხს
გსრდელეთ. ერთმა ახალგაზრდა კაპიტანმა დაუყვირა ჯარის-
კაცებს: „თლდები მადლა“. იმათ ბრძანება აასრულეს. „თქვენ
არ დაჰხდეთ თქვენს უბედურ ძმებს, რომელნიც მიმშვილით
ისოცებოან“, უთხრა მათ. აფიცერი იმყამსვე შეიპყრეს. გაა-
ქანეს პეტროპოლისკენ, სადაც სამხედრო სასამართლომ
სიკვდილით დასჯა მიუხაჯა (La Petite République n° 9991).



ლვობოჯდენი (N° 4) სწერენ: „ნამდვილ წყაროებიდამ
გავიგეთ, რომ გენერალ-ადიუტანტი დრავომიროვი, კიევის
სამხედრო ოლქის მთავარ-სარდალი, სამხსნურს თავს ანე-
ბებს. ჩემთვის აუტანელი ტანჯვააო ხალხის და ჯარის მუ-
ღივი შეტაკება“.



ნიკოლაევში, არეულობის დროს, 23 მუშა მოვკლავთ და
79 დაუჭრიათ. ამბობენ, ვითომ პოლიციისტერი მოვკლავთ,
გრადინაჩანისკი თავში ქვით დაუჭრიათ (ლვობოჯდენი)
პოლდენელ გასეთს «Naproud»-ს ატყობინებენ, რომ კიევში
არეულობის დროს მოვკლავთ 60 კაცი. ამავე გასეთს ატყო-
ბინებენ, რომ 23 და 24 ივლისს მუშებმა 8 ჯამში მოჭკლეს.



კიევის საერთო გაფიცვას ბოლო მოვლდ. რამდენიმე
დღეს, რაც რკინის გზის სახელოვნობებში მუშაობა დაიწყო.
მუშების თითქმის ყოველი მოთხოვნა შეასრულეს. მუშებმა
გაიმარჯვეს, მაგრამ მვინად დაუჯდეთ ეს გამარჯვება. 100
კაცი და ქალი მოვკლულ იქმნა, რამდენიმე ახი დასჭრეს.
3000 მუშა დააპატიმრეს. ამნაირთა გაფიცვის შედეგი («La
Petite République» n° 9996).

ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ა ნ დ ა რ მ ე ბ ი.

დღემდე ქართველი აფიცრები ემსახურებოდნენ
რუსეთს და რუსეთის მეფეს ბრძოლის ველზე გარე-
შე მტრების წინააღმდეგ. ამ გვარი სამხსნური აისხ-
ნებოდა ჩვენი გულად სასიათით, ჩვენი მეუღრებ-
ლობით, უშიშრობით და გაუგებრობით მოვალეობისა
ქართველი ხალხის წინაშე. ამგვარი სამხსნური კი-

დეკ იმედს აძლევს ადამიანს, რომ, ერთ დღეს, მე-
ღმარნი ჩასდგებიან ხალხის რაზმში და ამით მღრე-
ცხვენ თავიანთ წარსულ მოქმედებას.

რას იტყვით ქართველ აფიცრებზედ, რომელნიც
ყანადარმებით მიდიან? აფიცერი მომღრეპული სამხედ-
რო ბრძოლის ველს, აფიცერი-ჯამუში, აფიცერი-მა-
ნჩიხი და გაშვებულ ქართველ ხალხსა, აფიცერი,
სამხედრო გეგმების მაგიერ, თავის მოძმეების და-
მღრეპულ ოქმების შემდეგნი. აქამდინ ჩვენი აფიცრე-
ბი არ მისდევდნენ ამ გვარ საწინდარ სამხსენებს,
დედს კი გაჩნდნენ: ტბილისში ყანადარმთა აფიცრები
სუფიშვილი და თავ. თავდგირიძე, ბათუმში—ჯაყელი.
რუსეთში, პოლენეთში და სხვა მხარეებში ამ
გვარ გამცემ პირებს ოჯახები არ იღებენ ხალხში,
არ ესალმებიან ქუჩაში, არ ართმევენ ხელს შეხვედ-
რის დროს. ქართველმა საზოგადოებამაც და ამ ყან-
დარმების ნათესავებმაც უნდა მიანებონ თავი ჩვენე-
ბურ ძველებურ გულგუთილ ჩვეულებას და იმგვარადვე
მოექცნენ ამ პირებს როგორც სხვანი.

იტალიის პარლამენტისა და კუსეთის ხელშეწყობა.

(იტალიის პარლამენტის ერთ-ერთ სხდომის ოქმი).

ბ ა გ ე ლ ი (უცხოელ საქმეთა სუ-სეკრეტარი).—რასაკვირ-
ველია, რუსის მეფე მთავა რომში, მხოლოდ ჯერ დრო არ
არის დანიშნული.

ვ ე რ ა ზ ა ნ ი (სოციალისტი).—მოსვლის დრო კი არ გვან-
ტერგებს, არამედ თვით ფაქტი (სმაურება).

მ ო რ გ ა რ ი (სოც.).—სხვა მეფეებზე მოსულან რომში და
დეპუტატიული პარტიები დიდხელად გაჩუქებულები იყ-
ვნენ, მხოლოდ სიხუმე არ ნიშნავდა, რომ ისინი, საზოგა-
დოთ, მონარქიზმის წინააღმდეგნი არ არიან.

ს მ ა გ ე რ ტ რ ი დ ა მ .—განა თქვენ კი, ჩვენსავით, ერთგუ-
ლების ფიცი არ მიეცით მონარქიას?

ვ ე რ ა ზ ა ნ ი.—ფიცი ცარიელი ფიქტულაა: საქმე პრე-
გრამაა. ჩვენ ჩვენს პრეგრამას ვანსორციელებთ (ყვირილი
გენტრსა და მარჯვნივ).

ვ ე რ ა ზ ა ნ ი.—ჰო, ჩვენ ხალხს ვაძლევთ ერთგულების
ფიცს და არა მეფეს!

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი.—ეს რა ლაპარაკია: მე თქვენ ვაფრთ-
ხილებთ (კარგია, ბრავო).

მ ო რ გ ა რ ი.—დეპუტატიული პარტიები გაჩუქებულები
იყვნენ, რადგან მათ წინ კონსტიტუციონალური მონარქები
იყვნენ. რაც შეეხება რუსეთის ხელმწიფეს, ხელ სხვაა. რე-
სეთის საზოგადოების გულთა სწრაფვას იგი მათრახით იგე-
რებს, იარადით, ციმბირით, სადრჩობელით აძლევს პასუხს.
(სმა: კმარა, კმარა), ხელმწიფის უშველებელ სამფლობელო-
ში განვითარებული ბურჟუაზია არსებობს, რომელსაც კონ-
სტიტუცია ჰხურს. არსებობს მუშათა კლასი, რომელიც პრე-
ლეტარიატის თავისუფლებას თხოულობს, იმგვარ თავისუფ-
ლებას, რომელიც მხოლოდ კონსტიტუციაში განსორციელ-
დება... (კმარა, კმარა. ყვირილი).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი.—ვერ მოგვცემთ ნებას, რომ ამ პალატა-
ში უცხო სახელმწიფოს მინაური საქმეები გაარჩიოთ. (ტა-
მის კვრა, ძალიან კარგი!).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი.—განა საფრანგეთი რუსეთის მოკავში-
რე არ არის? (უკიდურესი მემარცხენენი დელაგენ).

ს ა ნ ტ ი ნ ი (რეპუბლიკანი).—რატომ საფრანგეთის წინააღ-
მდეგ არ აგსადებთ პრეტესტს?

ვ ე რ ა ზ ა ნ ი.—გე ჩვენ არ ვგვხვება. ჩვენ იტალიელ
ვართ. (სამინელი სმაურება).

მ ო რ გ ა რ ი.—გამოაცხადებს თუ არა რუსის ხელმწიფის
მოსვლა იტალიაში, იმავე დროს ნეაპოლში ციმბირის ქარ-
დაჭებრა და მიხელ გაცი დააბატირებს (ტამი მარცხნივ, გმ-
ტრი: კმარა, კმარა).

ვ ე რ ა ზ ა ნ ი.—ჩვენს ხელმწიფეში ასწავლიან, გპულდობ
ავსტრიელები, რომელნიც იტალიელებს ამარცხებდნენ. სე-
ლო ჩვენ გვძულს რუსეთის თვით-მპყრობელი (სმაურება).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი.—ვწუხვარ თქვენი სიტყვების გამო-
მგინი საერთოდ ხურვილს გამოცხასავ. თუ ვიტყვი, რომ იტა-
ლია ბედნიერი იქნება რუსეთის ხელმწიფეს მივებობს (ტა-
მის კვრა. არა, არა, მარცხნივ).

მ ო რ გ ა რ ი.—არა! იგი ხელმწიფე არ არის, იგი ჯალა-
თია (სამინელი ყვირილი, ლანძღვევს სოციალ. ორატორს).

მ ო რ გ ა რ ი.—არ ვიცი, რას ფიქრობს დიპლომატია და
ბურჟუაზი ორგანიზმისა, რომელსაც არც იდეალი, არც გული
არც ხელი არა აქვს. ვიცი მხოლოდ, რომ რუსის მეფისად-
მი მიმართული ტამის კვრა იმას ვმსგავსება, მათრახის გა-
დაქნევას რომ სისარულით მივებობთ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი.—იტალიის ერი ბედნიერი იქნება მიე-
გობს ხელმწიფეს (ტამი და პრეტესტი).

მ ო რ გ ა რ ი.—თუ იტალიის ხალხი ტამით მიეგება ხელ-
მწიფეს, იგი თავისუფლების წინაშე დამანაშავდ გამოვა. თუ
იტალიის მეფემ მიიღო რუსის ხელმწიფე, იგი, როგორც
კონსტიტუციონალური მეფე, თავის თავის წინააღმდეგი გა-
სდება (აუწერელი სმაურება და ყვირილი).

მ ო რ გ ა რ ი.—რადგან ბ. სუ-სეკრეტარმა გამოვიცხადა,
რომ დარბაზობა მოსდება, ვთხოვ აგნობს პეტერბურგში...
(უარესი სმაურება, ყვირილი, ლანძღვა, სიცილი).

მ ო რ გ ა რ ი.—აგნობს პეტერბურგში, რომ რუსეთის მე-
ფეს რომში სტვენით მიიღებენ.

ვ ა რ ა ზ ა ნ ი.—ჰო, ჩვენ სოციალისტები, სტვენით მიე-
გებებით.

ს ზ ვ ა —და-სხვა სმა.—თქვენ ამას ვერ იზამთ. ხალხი გვემთ-
ჯიოლიტი შევიპყრობთ.

ბ ა ნ ე ლ ი.—მე პრეტესტს ვაცხადებ პარტიკულ მორე-
რის სიტყვების წინააღმდეგ და დაწმუნებული ვარ, მთელი
პალატა, რომელიც იტალიას წარმოადგენს. დამეთანხმება.

ვ ა რ ა ზ ა ნ ი.—თქვენ ტამი დაუკარით, ჩვენ კიდევ და-
ვუსტვენთ.

ამით გათავდა ინციდენტი.

«საქართველო» ფოსტა.

ს ე პ ა რ ა ტ ი ს ტ ს.—თქვენი წერილი მივიღეთ, დაიბეჭდება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

გაცხადებთ, რომ ვკისრულობთ მსუკველთ და-
კუბეზლოთ; არალეგალური წიგნები, წერილები,
წიგნაკაზები, პროკლამაციები და გაფრთხილები.